საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2561 2018 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა“ და AS Insaat-N LLC-ს (აზერბაიჯანის რესპუბლიკა) შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა“ და AS Insaat-N LLC-ს (აზერბაიჯანის რესპუბლიკა) შორის გაფორმებულია ხელშეკრულება (საგანი – ზუგდიდის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა).

2. „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოწონებულ იქნეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა“ და AS Insaat-N LLC-ს (აზერბაიჯანის რესპუბლიკა) შორის 2015 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებული №P43405-ICB-ZUG-01 ხელშეკრულების (საგანი – ზუგდიდის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა) №6 ცვლილება (Amendment №6 და Variation Order №4).

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**